№ 219. კვირა, 8 ივნისი.

1896—1897

კვირა, 8 ივნისი № 219.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

პირველ ივნისიდგან გაზეთი
წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»
ღირს ოთხი |4| მანათი

მაქვს პატივი ვაუწყო ქართველ საზოგადოებას, რომ ვისაც ჰსურს შესწავლოს აბრეშუმეულობისა, შალეულობისა, ნოხ-ხალიჩებისა და სხვა და სხვა გვარ მატერიების
ქსოვა ხელოვნურად, ფაბრიკულად,
(მატერიები კეთდება ჩვენებურ აქვე მოწეულ დამზადებულ ძაფებისაგან)
მიჰმართონ ახალს
ამხანაგობას მეაბრეშუმეობისა და მეფეიქრობისას
ქ. ქუთაისში.

ამხანაგობის სახელოსნოში იმყოფება კარგი ოსტატი—ფეიქარი მოსკოვიდან, მისეილ შუსტინ, რომელმაც მოაწყო აბრეშუმეულის ქსოვის საქმე ბათომის სახელოსნო სასწავლებელში.

გამგე ამხანაგობისა არტემ ვახტანგის ძე ანჯაფარიძე.
(10—8)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—114)

კბილის ექიმი
ვ. ი. პიპინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21
„ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 7—9 და საღამოს 3—4 საათამდე.

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდნეკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და 1½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. ბროცკევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ბროცკევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6½—7½ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

კადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ზ თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ზ. კ. ზერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ძ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს.ზ.თოფურია. (წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

6 ივნისი.

8 ივნისს დანიშნულია ნათლობა უმაღლეს ახლად შობილის დიდის მთავრინასი ტატიანა ნიკოლოოზის ასულისა. ნათლობა მოხდება პეტერგოფის დიდს სასახლეში.

პარიჟი. გუშინ რომ ყუმბარა ააფეთქეს, ძლიერ საშიში ყოფილა: ყუმბარის ნატეხები თუჯისა გამოდგა.

ათინა. ოზულუდისმა განუცხადა დიდ სახელმწიფოთა ელჩებს, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკების დაგვიანება ძლიერ საზარალოა საბერძნეთისთვის, რომელიც იძულებულია დიდ ძალი ჯარი შეინახოს.

ვაშინგტონი. სენატს წარედგინა ხელშეკრულობა შეერთებულ შტატებსა და სანდვიჩის კუნძულებ შორის პრეზიდენტის მოხსენება. კუნძულები ყველაფერში ემორჩილებიან შეერთებულ შტატებს და ეხლა მხოლოდ ის უნდა გადოწყდეს, როგორი მთავრობაა საჭირო კუნძულებისთვის. მაკ-კინლეი ამბობს თავის მოხსენებაში, რომ აქ საქმე კუნძულების შემოერთებაზე კი არ არის, არამედ განმტკიცებაა ეხლანდელ კეთილ განწყობილებისა ორ ერთა შორის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან შთამომავლობით და მეგობრობით.

პარიჟი. ამბობენ, რომ ხვა კანდიდატებზედ მეტად სიიმედოა ბ-ნი დროზი, შვეიცარიის პრეზიდენტად ნამყოფი.

ახალი ამბავი

⁂ **დაჩემებული ეკკლესია.** დუშეთის წმიდა ნიკოლოზის ეკკლესიის მრევლს—ქართველებს—ასეთი არზა-საჩივარი მიურთმევიათ: «ჩვენნი წინაპარნი, ძველნი ქართველნი, ღვთის-მმოსავი და დიდი მლოცველი ხალხი იყო და მრავლად აგებდა ეკკლესიებს და სამლოცველოებს, უმეტესად-კი მთის მწვერვალებზედ და უდაბურს ტყეებში. ასეთი სამლოცველოები ერთის მხრივ თუ მოაგონებდნენ ქართველთ რომელსამე წმიდათაგანს, მეორეს მხრივ იყვნენ ძეგლნი რომელისამე შესანიშნავის ისტორიულის ამბისა, რაგვარის ამბებითაც აღსავსეა ისტორია პატარა საქართველოსი, რომელიც ჯვარითა და მახვილით ხელში დღე მუდამ ბრძოლაში იყო ისლამთან.

ასეთს ძვირფასს ეკკლესიად და უძვირფასეს ისტორიულ ნაშთად ქართველთათვის იყო უძველესის დროიდან პატარა სამლოცველო-ეკკლესია ქ. დუშეთის ახლოს ბოდავის წმიდა გიორგის საყდარი. ჩვეულებისამებრ, ამ ეკკლესიის დღეობაზედ იკრიბებოდა დიდძალი ხალხი, წირვას შესრულებდნენ ხოლმე, რასაკვირველია, ქართველი მართლ-მადიდებელი მღვდლები ქართულსავე, რასაკვირველია, ენაზე. ასე იყო იმ თავით ამ თავამდე, რაიცა შეიძლება შეამოწმოს მთელმა მაზრამ დუშეთისამ. ხოლო დღეობაზედ დადიოდნენ დუშელი სომხებიც, როგორც დადიან ხოლმე ისინი სხვა მრავალ მართლ-მადიდებელ ეკკლესიებშიაც, როგორც, მაგალითებრ, ალავერდში, წმ. ნინოს მონასტერში, სვეტიცხოვლის ეკკლესიაში მცხეთაში და სხვ.

მაგრამ სომხებმა ეს არ იკმარეს და მოინდომეს ამ ეკკლესიის დაჩემება-დასაკუთრება, რისთვისაც მოურიდებლად ამ ათი-ხუთმეტის წლის წინად წარიტაცეს წმ. ხატებები ბოდავის ეკკლესიიდან და დაასვენეს თავიანთს ეკკლესიაში დუშეთში. ესეც არ იკმარეს, ახლა ყოველ წელიწადს სომხის მღვდლები სწირავენ სომხურად იმ ეკკლესიაში და ქართველებს ახლო არ უშვებენ. პირველად უშვებდნენ ქართველ მღვდლებსაც სალოცავად და ახლა კი ეს წყალობაც აკრძალეს. ასე და ამ სახით ძველთა-ძველი ქართველ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია დღეს სომხების ხელშია. გულის-მწუხარებით აცხადებს დუშეთის ქართველობა ამ გარემოებას დ ითხოვს, რომ დანიშნოთ გამოძიება, აღსადგენად დაჩაგრულის სიმართლისა და დასაბრუნებლად ამ წმიდა ეკკლესიისა ძველის პატრონებისადმი“.

თხოვნაზე ხელს აწერენ რწმუნებულნი დუშეთის წმ. ნიკოლოზის მრევლისა.

აქ ჩვენ ვხედავთ იმავე სამწუხარო ისტორიას, რომელიც დაემართა აგრეთვე თელეთის წმ. გიორგის ტაძარს. ეს ეკკლესიაც ქართველების იყო და დღეს-კი მას ტერტერები განაგებენ, თუმცა მლოცველები დღესაც ქართველები არიან.

⁂ **ქართულის თეატრის საქმე.** აქამდის ჩვენ ის დავასკვენით, რომ გამგეობამ დრამატიულის საზოგადოებისამ, 1) დაამთავრა სეზონი დიდის დეფიციტით (აღემატება 3,000 მანათს), 2) წყალში გადაყარა 200 მანათი ფული და შეთხზა რაღაც არ-არსებული „ყარაევის ხორო“, 3) რეპერტუარი ისეთი შეადგინა, რომ ჯვარს აცვა, როგორც არტისტები, ისე თეატრში მოსიარულე საზოგადოება, 4) არ მიაქცია სრულიად ყურადღება ახლად ნათარგმნს პიესების ენას, რის გამოც ეს პიესები წარუდგნენ საზოგადოებას წამებულის და დამახინჯებულის ქართულით. იკითხავთ: მაშ რაღა გააკეთეს იმ კურთხეულის შვილებმათ. კი, ბევრი რამ, განა ცოტა დრო და ფიქრი უნდოდა იმათს უშველებელის მოხსენების დაწერას. დიახ, სიტყვა-მრავალს გამგეობას სიტყვა-წყლიანობაში უტარებია დროება.

საზოგადოების წევრმა ბ. ვ. აბაშიძემ განაცხადა კრებაზედ, რომ ბიბლიოთეკა საზოგადოებისა въ ужасномъ состояніи-ო. აქაც, მაშასადამე, სიტყვა-წყლიანის გამგეობის ბედნიერს თვალს არ შეუხედნია.

აი ასეთის საბუთებით, ასეთის საქმიანობით წარუდგა წელს გამგეობა დრამატიულის საზოგადოებისა საზოგადო კრებას. ღვთისა წინაშე, მიუხედავად მჭევრ-მეტყველურად დაწერილის მოხსენებისა, რაღაც ფერ წასულობა და მიუწყენილება ეტყობოდათ სახეზედ გამგეობის პატივცემულ წევრთ. ზოგი მათგანი არც-კი დაიარებოდა საზოგადო კრებაზედ და ზოგსაც ადრე და მალე დაენებებინა თავი თანამდებობისათვის. თავმჯდომარემ გამგეობისამ უმორჩილესად სთხოვა საზოგადოებას, განეთავისუფლებინათ ამ თანამდებობიდამ, ესვე ითხოვეს ყველა წევრებმა, გარდა ერთის ვ. რცხილაძისა. დიახ, ყველა მათგანი ჰგრძნობდა, რომ თავის ადგილზედ არ არიან და გულ-წრფელად ჰსურდათ თავის დანებება. ღვთისა წინაშე ეს გულ-წრფელობა ჩვენ ძრიელ მოგვეწონა და მზათა ვართ ვაპატიოთ მათ ყოველივე მათნი დანაშაულნი, ნებსითნი და უნებლიეთნი. მხოლოდ ერთმა ვ. რცხილაძემ იდუმალად აღიარა, რომ ის თავის-თავს არა სთვლის უსარგებლო კაცად, რომ მან დახდო ღვაწლი ქართულს თეატრს და აფასებს კიდეც ამ ღვაწლს. სხვები ეხვეწებოდნენ საზოგადოებას დათხოვნას...

ეს რად გვინდათ, ორი წევრი გამგეობისა ამტკიცებდა, რომ არა თუ ჩვენ ვერა გავარიგეთ-რა ქართულის თეატრისთვის, ვერცავინ სხვა გაარიგებს რასმეო. ეს შეუძლებელი საქმეა, ვიდრე გამგეობა სრულიად ხელს არ აიღებს ქართულს ტფილისის დასზეო. ჩვენი ოპეკა ხელს უშლის თეატრის წარმატებასაო. ისევ არტისტებმა შეადგინონ ამხანაგობა და თვით წარმართონ თეატრის საქმეო.

გამგეობამ დრამ. საზოგადოებისამა-კი სხვა საქმე გააკეთესო: შეამსოს

ეროვნული

რეპერტუარი კარგის პიესებით, დაეხმაროს პროვინციის თეატრებს, დააარსოს დრამატიული სკოლა და ხსვა-და-სხვა...

ასეთი ცალკე აზრი შეიტანა გამგეობაში ბ. ლასხიშვილს. გამგეობას, გარდა ერთის წევრისა, უარ ეყო ეს წინადადება.

ჩვენცა გვგონია, რომ ეს წინადადება წარმოაშობინა მის ავტორს იმ სასოწარკვეთილებამ, რომელშიაც ჩავარდა მთელი გამგეობა წარსულს წელში, როდესაც ყოველმა მისმა ცდამ მუქთად ჩაიარა და თეატრის საქმე უკან წავიდა და იმატა მხოლოდ ერთმა დეფიციტმა. ხოლო, ვის შეუძლიან სთქვას, რომ ეს უკანსვლა კანონია, შედეგია ისეთის მიზეზებისა, რომელთა გამოცვლა არ ძალუძს კაცს?... ვერ შესძლო ერთმა გამგეობამ,—შესძლებს მეორე, მესამე, მეოთხე.

ჩვენ აღვნიშნეთ გამგეობის მოქმედება წარსულ სეზონში. განა ამ მოქმედებას თეატრის ზრდა მოჰყვებოდა? განა იგი შემცდარი მოქმედება თავდები არ იყო იმისი, რომ ბოლო სამწუხარო იქნებოდა? სიტყვა მრავალი წევრნი-კი სხვა ფიქრს დაადგნენ: რაც ჩვენ ვერ შევძელით, იმას სხვაც ვერ შესძლო; თუ ჩვენს ხელში ვერ იხეირა ქართულმა თეატრმა, სხვაც ვერ მოუვლის მასო. ამ ფიქრებმა გააჩინეს ცალკე აზრი ბ. ლასხიშვილისა.

ავტორი კარგს იზამს, რომ თავისი საკუთარი აზრი დაბეჭდოს სადმე, რომ შესაძლო გახდეს ჩაუდგეს მას კვალში კაცი და საბუთიანი „ჰო“ ანუ „არა“ სთქვას. ამ ჟამადკი ვიკმარებთ იმის თქმას, რომ ყველამ, ვინც ჩვენის თეატრის ისტორიას ზედ-მიწევნით იცნობს, უარ ჰყვეს ეს აზრი. უარ ჰყვეს იგი თვით არტისტებმაც. ბ. ვ. აბაშიძემ კრებაზედვე განაცხადა, რომ უსუბსიდიოთ ქართულ დასს არსებობა არ შეუძლიანო. ბ. ლასხიშვილის პროექტი-კი უსპობს არტისტებს ამ სუბსიდიას.

ჩვენის ფიქრით, ქართულის თეატრის საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროა დრამატიული გამგეობა შესდგებოდეს მცოდნესა და მხნე პირთაგან, რომელთაც უყვარდეთ თეატრალური საქმე. ასეთი გამგეობა შეადგენს რიგიანს რეპერტუარს და მოიწვევს ყველა ცნობილ არტისტებს დასში, ეს ორი პირობა თუ იქმნა შესრულებული, საზოგადოებაც ივლის თეატრში. ამისი მაგალითები მოიპოვება ჩვენის თეატრის ისტორიაში.

⁂ **ბ. ტფილისის პოლიცმეისტერის გამგზავრება რუსეთში.** როგორც შევიტყეთ, ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი ორის თვის ვადით სამსახურიდამ განთავისუფლებულ იქმნება და ამ თვის დამლევს რუსეთში გაემგზავრება.

⁂ **წლიური აქტი საეპარქიო სასწავლებელში.** 5 თიბათვეს ტფილისის საეპარქიო საქალებო სასწავლებელში დანიშნული იყო აქტი, რომელსაც დაესწრო მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ვლადიმერი, ექსარხოსი საქართველოისა. აქტის დაწყების წინ სასწავლებლის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი თვით მაღალყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსის მიერ, თანამსახურებით ტფილისის სასულ. სემინარიის რექტორის, არქიმანდრიტის სერაფიმისა, ამავე სემინარიის ინსპექტორის მღვდელ-მონაზონის გერმოგენისა, სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარის მღვდლის ჩეტირკინისა და სხვათა... პარაკლისზე იყვნენ: უფროსი ქალი სასწავლებლისა ქ-ნი ნ. ნ. ტროფიმოვისა, ინსპექტორი ა. პ. ალბოვი, მასწავლებლები და აღმზრდელი ქალები.

პარაკლისის გათავების შემდეგ საეპარქიო სასწავლ. საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მღვდელმა მამა ს. გოროდცევმა მიჰმართა მოწაფე ქალებს, რომელთაც წელს კურსი დაამთავრეს ამ სასწავლებელში, გრძნობით აღსავსე სიტყვით. განშორდებით თქვენ,—უთხრა სხვათა შორის მამა გოროდცევმა მოწაფე ქალებს,—თქვენს აღმზრდელს სასწავლებელს და შესდგამთ ფეხს ცხოვრების მღელავს ზღვაში; მალე გაიცნობთ ცხოვრების სინამდვილეს, გაიგებთ ცხოვრებას, აღსავსეს მწუხარებითა და უბედურებითა. მაგრამ ნუ შეშინდებით; გრწამდეთ ღმერთი და იესო ქრისტე! უკეთუ თქვენ მტკიცე სარწმუნოება გექნებათ, არავითარს უბედურებას არ შეუძლია დაგძლიოთო.

ამის შემდეგ, სააქტო დარბაზში მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა თვისის ხელით დაურიგა კურს-დამთავრებულ მოწაფე ქალებს „მოწმობანი“ (ატტესტატები) და „ქების ქაღალდები“. თითოეულს მათგანს მისცა საჩუქრად სახარება. მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა ექსარხოსმა მიჰმართა მოწაფე ქალებს მოკლე, მაგრამ ღრმა-აზროვანის სიტყვით, რომლის შინაარსი, დაახლოვებით, შემდეგი იყო: „ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ მღირსა უფალმან ამ სამოსწავლო წლის გასულს თქვენს ეკკლესიაში მელოცნა და თქვენი თავი ღვთისთვის შემევედრებინა. ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს უფრო იმიტომ, რომ თქვენს მიერ კურსის შესრულებას მოჰყვა მხურვალე ლოცვა და წრფელი ვედრება ღვთისადმი. ჩვენ ყველამ ეკკლესიაში ვილოცეთ ღვთის წინაშე და ლოცვით გისტუმრებთ სასწავლებლიდამ. ასეთი გარემოება შეეფერება იმ მთავარს მიზანს, რომლის განსახორციელებლად დაარსებულია თქვენი საქალებო სასწავლებელი. ეს სასწავლებელი, უპირველეს ყოვლისა—სასულიერო სასწავლებელია და, როგორც ასეთი სასწავლებელი, იგი შორს უნდა იდგეს იმ გართობათაგან, რომელნიც უფრო ხორცს შეეფერებიან და არა სულსა. უპირველეს ყოვლისა ამ სასწავლებლის მთავრობა, მასწავლებელნი და აღმზრდელნი ქალნი, სცდილობდნენ, რათა თქვენ მიგეღოთ სარწმუნოება-ზნეობრივი აღზრდა, რომელიც ესრედ საჭიროა ჩვენს ზნეობით დაცემულს დროში. მათ ყველას ჰსურდა, რათა თქვენ ბედნიერნი იყვნეთ ცხოვრებაში. სასწავლებელში თქვენ ცოტა ხანს იყავით, ცხოვრებაში-კი, ღვთით, რამდენსამე ათეულ წელს გაატარებთ. არ დაივიწყოთ არასოდეს ის მაღალნი მცნებანი, რომელთაც სასწავლებლის მთავრობა გულში გინერგავდათ,—უკეთუ ამ მცნებათ არ დაივიწყებთ, თქვენ იქნებით ნამდვილნი ბედნიერნი. ნამდვილი ბედნიერი-კი ისაა ამ ჩქარა წარმავალს წუთი სოფელში, ვისაც უყვარს ღმერთი, სინიდისი, სიმართლე, სიკეთე, ქველ-მოქმედება და სხვა ქრისტიანობრივი სათნოებანი. ჩვენი საამქვეყნიო ცხოვრება სიზმარია,—ამ სოფლად ჩვენ დიდხანს არ ვიცოცხლებთ. ამიტომ, უნდა ვეცადოთ, ჩქარა-წარმავალის წუთისოფლის მაგივრად, საუკუნო სუფევა ზეცისა დავიმკვიდროთ. ამ მიზნის მისაღწევად უნდა შევიყვაროთ ყველა ის, რის სიყვარულსაც ვალად გვდებს ჩვენი წმიდა სარწმუნოება“.

ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაღალ-ყოვლად სამღვდელო ექსარხოსის მარტივად წარმოთქმულმა, მაგრამ ღრმა აზროვანმა, სიტყვამ მოწაფე ქალებზე, რომ ამ უკანასკნელთ ქვითინი დაიწყეს და დიდხანს ვერ დამშვიდდნენ.

აქტზე სასწავლებლის საბჭოს საქმის მწარმოებელმა ბ. ნედელსკიმ წაიკითხა მოკლე ანგარიში სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ. მანვე წაიკითხა სია კურს-დამთავრებულთა, რომელთა რიცხვი ოც-და-ორია. აი სია პირველის ხარისხით სწავლა-დამთავრებულთა: იაზიკოვისა ალექსანდრა, ალექსოპოლსკისა ანნა, კეკელია ნადეჟდა, სულხანიშვილისა ბარბარე, კუზმინა სოფია, ბურჯანაძისა ეკატერინე, ოქროპირიძისა ქეთევანი, ამბრიაშვილისა ვერა, სიჭინავა ეკატერინე, გძელიშვილისა ნადეჟდა და ხანდამიშვილისა მარიამი; სულ თორმეტია. დანარჩენი ათი მოწაფე-კი, სახელდობრ: ბენაშვილისა ბარბარე, ბარნაბიშვილისა მარიამი, ვოზნესენსკაია რაისა, დავითაშვილისა მელანია, დავითაშვილისა ანნა, ქუჩუკაშვილისა თამარა, მარჯანიძისა ლიდია, მატარაძისა ნინა, როზეფ-ქადაგიშვილისა ნინა, სისაური ბარბარე, წვიმაძე ელისაბედ,—მეორე ხარისხის მოწმობის ღირს იქმნენ. ყველა მოწაფეებს ნება ეძლევათ საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლობისა. ოც-და-ორს კურს დამთავრებულ მოწაფეთა შორის ოთხი რუსია და თვრამეტი-კი ქართველი. ამათს რიცხვში—იაზიკოვისამ, ალექსპოლსკისამ და კეკელიამ პირველის ხარისხის ჯილდო მიიღეს (წიგნი და ქების ფურცელი). წლევანდელს წელს მეშვიდეჯერ ათავებენ კურსს ამ სასწავლებელში, რომელიც დაარსებულ იქმნა მაღალ-ყოვლად სამღვდელო ყოფილის ექსარხოსის იოანნიკის მიერ (აწ მიტროპოლიტი კიევისა). მიტროპოლიტის იოანნიკის სახელზედ მისის ხარჯით ამ სასწავლებელში ოც-და-ოთხი სტიპენდიაა, რომლებიც ეძლევათ საქართველოს სამღვდელოების ღარიბ მოწაფე ქალებს.

⁂ **ტფილისის საეკკლესიო მუზეუმის კომიტეტის** მდივნად დაუნიშნავსთ ამავე კომიტეტის წევრი, მასწავლებელი სასულიერო სემინარიისა ბ-ნი ილია ფერაძე.

⁂ **ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილება ქ. გორში.** 13 ივნისს ქ. გორისაკენ მიემგზავრება ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილება სისხლის სამართლის საქმეების განსარჩევად სასამართლოს წევრთა ბ.ბ. ი.ი. პარჩევსკისა, ა. ვ. პადალკო და ბრალმდებლის ამხანაგის მონაწილეობით.

⁂ **ინჟენერის ბ. ვედენევის დაბრუნება პეტერბურღიდამ.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ე. ლ. ვედენევი უკვე დაბრუნდა ქ. პეტერბურღიდამ და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

⁂ **ტფილისის 1 საქალებო გიმნაზიაში კურს-დამთავრებული.** წრეულს ტფილისის 1 საქალებო გიმნაზიის IX კლასი დაამთავრეს 51 ქალმა. ამათში ქართველი შვიდია, სახელდობრ: ფარადაშვილისა ოლგა, ჩიჯავაძე თამარი, ჯომარჯიძე ელენე, გვარამაძე სოფიო, სულხანიშვილისა ოლგა, ყიფიანი ელისაბედი, ტერიაშვილისა იულია. ორს ამათგანს, ოლგა ფარადაშვილისას და თამარ ჩიჯავაძისას, შინაურ მასწავლებლის ხარისხით გაუთავებიათ. ეს ხარისხი მხოლოდ იმათ ეძლევათ, ვინც გიმნაზიის ორი პედაგოგიური კურსი გაიარეს და გიმნაზიის კლასიც ოქროს და ვერცხლის მენდლით გაათავეს.

⁂ **ქალაქის სახლის გამო.** ბ. ტფილისის პოლიცმეისტერი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის სახლი, რომელშიაც ბ. პოლიცმეისტერის სამმართველოა მოთავსებული, მეტად უვარგისს მდგომარეობაში არის ამ ჟამად, კედლები ალაგ-ალაგ დასკდა, ბუხრები გაფუჭდა და სხვა ნაკლულოვანებაც ბევრი ეტყობა და ამის გამო თხოულობს, რომ დაუყონებლივ დანიშნულ იქმნას ტეხნიკთა კომისსია ამ სადგომის დასათვალიერებლად.

⁂ **სახაზინო თეატრის დირექტორის ახალი თანაშემწე.** სახაზინო თეატრის დირექტორის თანაშემწედ ნ. ა. დევდორიანის მაგივრად დანიშნულ იქმნა ივ. ე. ფითოევი.

⁂ **სახელოსნოთა და ხელოსანთა რაოდენობა ქ. ტფილისში.** 1896 წლის ანგარიშიდანა სჩანს, რომ ტფილისში სულ 2441 სხვა-და-სხვა სახელოსნო ყოფილა, 2968—ოსტატი, ამქართა რიცხვში ჩაწერილნი, 2679 — უფროსი შეგირდი, 1986—შეგირდი და 485 მუშა.

⁂ **ტფილისის ხელოსანთა ყრილობა.** 4 ივნისს ტფილისის ხელოსანთ ყრილობა ჰქონდათ, რომელზედაც, სხვათა შორის, შემდეგი დაადგინეს: 1) უგულითადესი მადლობა მოხსენდეს ტფილისის ხელოსანთაგან აწ განსვენებულის კავალერიის გენერლის თავ. ნიკოლოზ ზურაბის ძის ჭავჭავაძის ჭირისუფლებს და აგრეთვე მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ეგერმეისტერს თ. მელიქიშვილს—ხელოსანთა საქველმოქმედო თანხის აღსადგენად ასის თუმნის შემოწირვისათვის; 2) ხსენებული ფული შეტანილ იქმნას სახელმწიფო ბანკის ადგილობრივს განყოფილებაში და მოხმარდეს ხელოსანთა საქველ-მოქმედო თანხას.

⁂ **მანდვრის კალია ერევნის გუბერნიაში.** როგორც ამბობენ, ერევნის გუბერნიის ზოგიერთა სოფლებში კალია გაჩენილა.

⁂ **ოზურგეთი. სახალხო სამკითხველოს საქმე.** ერთი სამწუხარო მოვლენაა ყოველგან ჩვენში გავრცელებული: ჯერ საქმის დაწყებას ვერ მოასწრებენ, რომ უცბათ გამომცხვარია „ჩვენებური“ კრიტიკა: „ეს ასთე არ უნდა გექნათ, ის ისთე სჯობდაო“. ამ ნაირი ბედი ამ
თავიდანვე დაჰყვა ოზურგეთის ს
კითხველოსაც. ჯერ ნება-რთვის აღ
ბამდის მრავალნაირი ურიგო და უსამ
რთლო მოხსენებანი წავიდა, სად
ჯერ-არს, ყოველისავე ჩვენის სა
თილო საქმის მოწინაღმდეგეთაგან;
მაგრამ, როდესაც, დიდის ბრძოლის
შემდეგ, გვეღირსა ოფიციალური
ნება-რთვა სახალხო ბიბლიოთეკის
და სამკითხველოს გასახსნელად, ე
ლა შინაური „ერთგულები“ ატეხ
ლან: „რატომ სახლს არ აშენებ
ან რად ხარჯავთ სახლის ქირა
ფულსაო“, მაშინ როდესაც თვი
საქმის ნამდვილმა ერთგულებმა გან
ცხადეს თანხმობა: ამ დროებით ჩვე
ნი ახალი სამკითხველო ადგილო
რივ კლუბში მოვაქციოთო, რომ
ლიც უსასყიდლოთ უთმობს ს
მკითხველოს ერთს დიდ სრუ
ოთახს თვისის ყოველისავე მოწყ
ბილებით და ცალკე მისავალით. ამ
ასთანავე კლუბის გამგეობა თავ
ხარჯით კისრულობს განათებას, გ
თბობას და ყურისგდებას ამ სამკი
ხველოს ოთახებისას. ყველა ეს ხა
ჯი შეიცავს არა ნაკლებ 200—300
მანათისა. ყველა გონიერ კაცისთ
ადვილი მისახვედრია, რომ ეს
რობები ახალ სამკითხველოსათვის
დიდათ მოსაგებია, მხოლოდ მარტ
გარეგანის ფორმის და ცარიელ ლ
ტონ სიტყვის მოტრფიალეთათვის
გაუგებარია ეს. რა თქმა უნდა,
კუთარი კერძო სახლი, მოშორებ
ლი სხვა დაწესებულებაებს, უფრ
სასურველია სამკითხველოსათვის,
გრამ ჩვენ ნუ დავივიწყებთ ის
რომ საშუალება ჩვენის სამკითხ
ლოსი ამ პირველ დროზედ ნამე
ნი ცოტაა და, თუ ის სრული
შენობის ქირაობაში დავხარჯეთ,
საცილოდ დავრჩებით ისე, როგორ
უმრავლესი ჩვენებური ვითომდა ს
კითხველოები, რომლებისთვინაც
კუთარი სახლი სდგას, გარედან
რწერა აქვს, მაგრამ წიგნები
არ მოიძებნება. ჩვენ ყოველსავე
მთხვევაში, საქმის მომავალზედ უ
ვზრუნავდეთ და მის სამუდამოდ
თილ ნიადაგზედ დამყარებაზე
არა დროებითად საქმის გადაფურჩენ
ზედ.

ამას გარდა, მკითხველ საზოგად
ებას კი მოეხსენება, რომ აქაურ
თვით-მმართველობამ უკვე დიდი
ნია აღძრა კითხვა ქალაქისთვის
ალ შენობის შეძენის შესახებ,
დაც გამოანგარიშებულია რომ ბი
ლიოთეკისთვისაც უნდა დარჩეს ს
კუთარი მოწყობილება. ეს კითხ
მალე გადაწყდება და მანამდის, ნ
თუ უფრო გონივრული არ იქმნე
ეხლანდელ გამგეობისაგან, თუ
დროებით მოზოგვილი ფული
წიგნებს მოუყრის თავს და როდი
კარგ სასარგებლო ბიბლიოთეკას
ადგენს, სადაც, როგორც მიზა
სამკითხველოს დამაარსებელ კო
ტეტის, სამეცნიერო საგნებითაც
საძლებელი იქნება მეცადინეობა.

ამბობენ ჩვენის სამკითხველ
„ერთგულები“, კლუბში მდაბიო
ლხი ვერ ივლისო; ჯერ ვინ სთქ
რომ ჩვენი სახალხო სამკითხველ
კლუბთან შეერთებული იქმნება
ნუთუ არ შეიძლება, რომ ერთ
რბაზში კლუბიც არსებობდეს, ს
გარეშე დაწესებულებანიც და ბი
ლიოთეკაც? დილის 8 საათიდგა
საღამოს 9 საათამდის კლუბის წე
რებს კლუბში ვერ ნახავთ და სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოს 9 საათის შემდეგ ყველა სახალხო ბიბლიოთეკები დახურულია. ამას გარდაც, ტყუილი აზრია ის, რომ ვითომ კლუბის ბინაში ბიბლიოთეკის დროებითაც შეფარება დასაფრთხობელი იყოს ვისთვისმე. სხვა დიდ ქალაქებშიც რომ მართალი გამოდგეს ეს აზრი, ჩვენს პატარა პროვინციებში მაინც მოკლებული იქმნება ის სინამდვილეს: ამისთანა პატარა ქალაქებში ყოველსავე საზოგადო დაწესებულებას & წრეს შეადგენს ერთი და იგივე პირები—ადგილობრივი ინტელიგენცია. თვით ის გარემოება, რომ ცოტანია პატარა ქალაქში საზოგადო დაწესებულებათა მომხრე პირები, ხელს უწყობს იმას, რომ ერთი და იგივე პირი იღებს მონაწილეობას სხვა და სხვა საზოგადო საქმეში; ამიტომაც, მაგისთანა პატარა ქალაქებში ადგილობრივ საზოგადოების კლუბის წევრნი უსათუოდ უნდა იქმნენ, თუ საჭიროება მოითხოვს, ბიბლიოთეკის დამაარსებელნიც, დრამატიულ საზოგადოების შემადგენელნიც და სხვა ამ გვარ საზოგადო საქმის წევრნი; არ შეიძლება ვსთქვათ, რომ, თუ რიგიანად და გონიერად კი იქნა დაყენებული საქმე მაგისთანა პატარა ქალაქებში, ერთმა საზოგადო საქმემ ხელი შეუშალოს, ან ავნოს მეორე საზოგადო დაწესებულებას.

⁂ **ქ. ტომსკი.** (ციმბირი) **ქართველი სტუდენტები.** როგორც მკითხველებმაც უწყიან, აქაურს ჰავას ჩვენი ქართველი სტუდენტები სრულებით ვერა ჰგუობენ, მით უფრო, რომ უფროს-ერთი მათგანი ხელმოკლენი არიან და ეს გარემოება განსაკუთრებით ხელს უშლისთ აქაური ცხოვრება აიტანონ. ქართველ სტუდენტების ამ გვარ ყოფას ყურადღება მიაქცია ერთმა აქაურმა პროფესორმა და, ყოველმხრივის დაკვირვების შემდეგ, აღმოაჩინა, რომ ტომსკის ჰავის გავლენით ქართველი სტუდენტები ნევრასტენიკები ხდებიანო. უმაღლესმა მთავრობამაც მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და, ქართველთაგან ვინც-კი ითხოვა რუსეთის უნივერსიტეტებში გადასვლა, ყველას ნება დართო. ასე რომ ამ ჟამად აქ მარტო ახალი ჩამოსულები არიან უნივერსიტეტში, ძველები სულ გადავიდნენ, ზოგი ხარკოვისა და ზოგიც კიევის უნივერსიტეტში.

აქ წლეულს კურსი დაამთავრა, სხვათა შორის, ერთმა ქართველმა—სვიმონ გძელიშვილმა, რომელსაც უნივერსიტეტის მთავრობა უნივერსიტეტშივე უპირებს დატოვებას.

⁂ **ქ. კიევი.** (რუსეთი) **კურსდამთავრებულნი ქართველნი.** ამ დღეებში, ეს არის, დასრულდა სახელმწიფო კომმისიები საიმპერატორო წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტში. ეგზამენების დამჭერის მსურველთა რიცხვში ორი ქართველიც ერია: იურიდიულს ფაკულტეტზედ-პროკოპი ჩხენკელი; და ფილოლოგიურზედ—შიო ჩიტაძე, რომელთაგან ორივენი ღირსნი შეიქმნენ დიპლომისა. იურიდიულს კომმისსიაში ეგზამენებს იჭერდა 249 კაცი, ამათგან დიპლომს ღირსა მხოლოდ-204 კაცი, ფილოლოგიურს კომმისსიაში-15 კაცი იჭერდა—ხუთმეტსავე დიპლომი მიეცა.

⁂ **დ. ლანჩხუთი.** **ჟურნალ-გაზეთობის რაოდენობა.** ჩვენს პატარა დაბაში 48 ნომერი მოდის სხვა-და-სხვა დრო-გამოშვებით გამოცემათა, რომელნიც ტფილისსა და ქუთაისში იბეჭდებიან. სახელდობრ: „კვალი“—14, „მწყემსი“—14, „ივერია“—7, „ცნობის ფურცელი“—4, „მოამბე“—1, „მეურნე“—3, „ახალი მიმოხილვი“—1, „კავკაზი“—1, „საქართველოს საექსარხოსო მოამბე“—3.

⁂ **ს. ასკანა** (გურია). **პატივისცემა პატიოსანის მუშაკისადმი.** ივნისის 1-ს, კვირას, დილის რვა საათზე, აქაურს ორ-კლასიან სკოლის ერთს დარბაზში შეიკრიბნენ ამ სკოლის ყველა შაგირდები, რომელთაც ამ სკოლისავე ზედამხედველმა ბ-ნმა ივლიანე ჰეიშვილმა, გამოუცხადა-რა მიზანი მათის შეკრებისა, მოაგონა და განუმარტა კეთილი თვისებანი გარდაცვალებულის, მათ მასწავლებლად ნამყოფის, იოსებ ქუბაბრიასი. მასწავლებლის ნაღვლიანს და გრძნობიერს ლაპარაკს ბანს აძლევდა მოსწავლეთა გულ-მოშვებული ქვითქვითი. ამის შემდეგ მასწავლებლები თავიანთის მოსწავლეებითურთ მწყობრივ გაემგზავრნენ მახლობელს წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც, ხალხის თანადასწრებით, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი იქმნა გარდახდილი. პანაშვიდის დროს ყველა დამსწრეთ დიდი მწუხარება ეხატებოდათ სახეზე, რაც ცხადად ჰმოწმობს, რომ ასკანის სკოლის სასურველმა ნაყოფმა უკვე იჩინა თავი თვისს მემკვიდრეებზე და ღირსეულად დააფასებინა მათ მცირე, მაგრამ ნათელი ღვაწლი თავისის ერთის მუშაკთაგანისა.

მ. მირიან რამიშვილი.

⁂ **ხონი.** (იმერეთი) **გორდი-კინჩხის გლეხთა მდგომარეობა.** ესენი ამ ბოლო დროს უკიდურეს მდგომარეობაში არიან ყოვლის გზით: ფულით, ღვინით და სხვა, მაგრამ ზოგიერთი ვაჟბატონები, რომლებიც ძველად მოხელენი ყოფილან, მოსვენებას არ აძლევენ სხვა და სხვა უსაფუძლო რჩევით და ძალა უნებურად საჩივარს აკეთებინებს საწყალს გლეხებს მღვდლებზე და სოფლის მოხელეებზედ და როცა ძალა დააგებათ, მეთაურები გაძვრებიან, მიდიან ვითომ დამნაშავეებთან, აგონებენ მათ და სტყუებენ გროშებს. საწყალი გლეხები, რომლებსაც თხოვნის დაწერაში და მარკებში ფულები დაეხარჯათ, რჩებიან პირ-დაღებულნი, რადგანაც ის აბლაკატები მორიგებით უხერხებენ საქმეს. ამ ჟამად მამასახლისი ძლიერ მშვიდობიანი კაცია და იმავე დროს სამსახურსაც რიგიანად ასრულებს, სოფლის მსაჯულები (მეორეთ არიან არჩეულნი) მოთმინებით და სულ გრძელათ ასრულებენ თანამდებობას და ერთი საჩივარი მათზე არ გაგზავნილა და ეხლა, როგორც დავესწარი ზოგიერთთან მოლაპარაკებას, სოფლის მოხელეებს უპირობენ საჩივარს, მაგრამ მიზეზი ვერ უპოვნეს. ამისთანა მეთაურები სულ იქმნება გორდ-კინჩხაში სამი ანუ ოთხი, რომლების უსაფუძლო რჩევისაგან არა ერთ გზით შეუწუხებიათ მაზრის უფროსი. კარგი იქმნება ყურადღება მიაქციონ ხალხს, თორემ იმ ვაჟბატონების წყალობით ისრე დაეცემიან, რომ მობრუნება გაუჭირდებათ.

ქიშვარდი ბახტაძე.

⁂ **ს. ტყვიავი.** (ქართლი) **სეტყვა და ნიაღვარი.** 3 თიბათვეს, შუადღის უკან, იქნებოდა სამის ოცი წუთი, ერთბაშათ დასავლეთიდგან მოისმა საზარელი გრგვინვა-ქუხილი და წამოვიდა ჩვენსკენ ტყვის ფერი ღრუბლები. არ გაუვლია სამს წუთს მას შემდეგ, რაც ქუხილი შემოგვესმა, რომ დაუშვა კოკის-პირულად მსხვილი წვიმა და მას მოჰყვა კაკლის ოდენა ხშირი სეტყვა, რომელმაც ნახევარ საათს გასტანა: გადიიღო წვიმამ და მოვარდა ახლა საშინელი ნიაღვარი, დაქანდა სოფლის ქუჩებზედ და დააწიოკა გლეხ-კაცობა; თავზარ-დაცემულნი ქალი და კაცი დაწიოკდა და ეზიდებოდნენ სახლიდგან გარეთ ავეჯს, (რადგან ნიაღვარი რამდენსამე სახლში შევარდა და მოიტივტივა სახლის ავეჯი). თვით სოფლის ქუჩებში ნიაღვარმა იქამდინ იმატა, რომ ცხენებს მუცელზე შემოწდომას აღარა უკლდა-რა. ნახევარ საათის შემდეგ წამოვიდა კიდევ უფრო მსხვილი სეტყვა და გასტანა თუთხმეტ წუთს, გამოიდარა კიდევ ერთ საათს, და კვალად წამოვიდა წვიმა ხშირის სეტყვით, ამან გასტანა კიდევ ოც წუთს ჩარეგვა ვენახ-მინდვრები და მოუღო ბოლო ყოველს ხეხილს, გაანადგურა ყანები და გაასწორა მიწასთან, თუ რამე დააკლო სეტყვამ ამის სამაგიეროდ მივარდნილმა ნიაღვარმა წალეკა მინდვრათ დაბლობი ყანა სიმინდები; რაც შეეხება ტყვიავსა და იმის გარეშემო სოფლების ზარალს, მისი გამოკვლევა ძნელია... ტყვიავის მახლობლად მდებარე მთები თეთრათ შეიღესა სეტყვისგან და მეორე დღემდის არ გამდნარა. საწყალ გლეხ-კაცს უხაროდა, რადგან მოსავალს კარგი პირი ჰქონდა, მაგრამ მოულოდნელმა სეტყვამ კი ესე უწყალოდ ჩასწყვიტა გულები საბრალოთ!.

ი. იალღუზაძე.

⁂ **ფასანაური.** (ხევი) **უბედურება ზვავისაგან.** თუ ქსნელი ქურდებისაგან იყო აკლებული ადგილობრივი მცხოვრებნი, ეხლა ბუნებითი მოვლენამ სულ მეტი დააყენა აქაურობას. 3 თიბათვეს (შემდეგ სეტყვასა), ღამის 2 საათზედ, მახლობელ ხევიდან წამოვიდა მიწის ზვავი და სულ ერთიანად წალეკა ადგილობრივი პოლიციის სადგომი. დაიკარგა რამდენიმე საბუთიანი ქაღალდები, საქმეები და მრავალი ნივთი. საჭირო უმაღლესმა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ შემთხვევას და რაიმე ღონე იღონოს, რომ მეორედაც არ განმეორდეს ეს არა სანატრელი მოვლენა.

ალექსი ოგბაიძე.

⁂ **ს. გულეკარი.** (ქვემო სამეგრელო) **ქურდობა და მოტყუება.** ს. გულეკარი მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირზედ. ამ სოფელში ქურდ-ბაცაცები საშინლად თავს გადიან. აქაურმა მცხოვრებმა თუ ხელიდგან მოიშორა ცხენი ან ხარი, სამუდამოდ უნდა გამოესალმოს. აქ წვრილ-ფეხა პირუტყვსაც იპარავენ, მაგალითად: ღორებს ოც-ოცდა-ათ სულს ერთად გარეკავენ შუადღისას და გაუდგებიან გზას. იციან, რომ მოწმობას არ მოსთხოვენ გზაში.

წლეულს ორის აქაურის ყმაწვილების თაოსნობით ერთმა ვიღაცა სომეხმა გაყიდა 35 კოლოფი აბრეშუმის თესლი. ამ სომეხმა, თურმე, მთელი თვე ატარა ეს თესლი, მაგრამ ვერავინ ვერ მოატყუა, გარდა ამ სოფლის ორის ყმაწვილისა. ეს თესლები ამ სოფელში დარიგდა სამეოთხედოთ; ყველა ოჯახის ქალი და კაცი გულ-წრფელად შეუდგა აბრეშუმის მოყვანას. ლაპარაკობდნენ, რომ სიმინდს ფასი მაინც არა აქვსო, თესვას თავი დაანებეს და აბრეშუმის ფასით ჰფიქრობდნენ ხელის მონაცვლებას, მაგრამ ამ საცოდავებს იმედმა უმტყუნათ. დაპარკვის დროს ჭია სულ ერთიანად დაიხოცა. ეხლა ამბობენ, დავიღუპენითო, ყანა ბოსტანს მოვცდით და ამანაც გვიღალატაო.

ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ აბრეშუმის ამხანაგობა, რომელიც ამ სოფელზედ მახლობლად არის, ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას. თავიანთი თესლი დაურიგონ აქაურებს, ისინიც ისარგებლებენ და საწყალი ოჯახებიც. საჭიროა ამისთანა მატყუარას ნება არ მისცეს გლახა თესლის გაყიდვისა თორემ, თქვენი მტერი, ამ სოფელს მერმისთვის. ვინ დაიჯერებს, რომ კარგი თესლი დიდს სარგებლობას მოუტანს ვისმე, წლეულს ისე არიან გულდაწყვეტილნი.

ონიფანტე თუნთია.

⁂ **დ. ზუგდიდი.** **დაბის მდგომარეობა.** საქმე ის არის, რომ მილიონები არ უტრიალებს ხელში საბრალო ზუგდიდს, თორემ, ხალხთა მოძრაობით, ბაზრის გეგმა-წყობილობით, და პატიოსნების დამცველობით, რომ დაუკვირდეთ იტყვით დედა ქალაქებს მიებაძებაო, მაგრამ დროთა ვითარებამ საბრალო დაბას წელი მოსწყვიტა.

პირველი გამაცოცხლებელი და აღმაფრთოვანებელი დაბისა გახლდათ შორი-ახლო სოფლებთა და მაზრაში მცხოვრებ ხალხთა სიმდიდრე, რომელთაც ეს სიმდიდრე ხელიდან გაეპარათ; მათი სიმდიდრე და შნო გახლდათ სიმინდი. გარნა მოსავალი სიმინდისა ისეთივე არის, როგორც წინა დროებში ყოფილა, მაგრამ მოსავალმა ვის რა უნდა მოუტანოს, რადგანაც შრომა და ჯაფის ფასი არ გამოუათ, იმისათვის რომ 70—80 კაპეიკის მაგიერ ფუთში უნდა აიღონ 20-დან 24 კაპეიკამდე, რომლის საშუალებით თავიანთი და სახელმწიფო მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერ შეიძლეს, რის გამოც შთაიდგა ფეხი ქესატობამ ხალხში. და ხსენებულ დაბაშიც ფეხი აეკვეცა ვაჭრობას, ასე რომ რიგიანმა ვაჭარმა რომ იანგარიშოს, წლიური შემოსავალი გასავალს, ე. ი. ხარჯს, ძლივს უდრის.

ჩვენც გვაქვს სურვილი თვითოეულად ჩვენთაგანს, როგორც აქაურს მრავალ პირებს აქვსთ გამოწერილი, ისე გამოვეწეროთ ჟურნალ-გაზეთები, რომლის საშუალებით შეგვეძლოს სიამოვნებით გართობა;

ჩვენც გვაქვსთ სურვილი, რათა დაბაში ერთი სამკითხველო-ბიბლიოთეკა იყოს დაარსებული, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შეეძლო ცოტა შემწეობა აღმოეჩინა და თვითონაც ესარგებლებინა, მაგრამ, იკითხეთ, რა არის ჩვენი სურვილის დამშლელი?

რასაკვირველია, პირველად ქესატობა ძალიან აშავებს ჩვენში, მაგრამ უფრო მეტ დამნაშავეთ ორს ვინმეს ვთვლით, ან გამომგზავნელს გაზეთისას და ანუ ადგილობრივ ფოსტის და ბაზრის შუა მოსამსახურეს, რომლებთა იმედით თვითოეულ კვირაში ორს ანუ სამს ნომერს დავკარგავთ გაზეთისას; მიზეზი ვინ არის, არ ვიცით, და გემოს კი უკარგავს გამომწერლებს. თუმც ესოდენ სურვილის დამრღვევი მდგომარეობა უტრიალებს დაბას ხელში, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჯერ თავი არ დაუხრია: შეიძინა სასწავლებელი ისეთი ხარისხისა, რომ არამც თუ დაბაში, მგონი დედა ქალაქშიაც იქმნეს მოსაწონი; მაგრამ ამასთანავე უეჭველი საჭიროა დაბის გამამშვენიერებლად სამკითხველო-ბიბლიოთეკის გახსნა. კარგი იქმნება, ვისაც ხელი აქვს მოკიდებული, ჯეროვან მზრუნველობას მიიღებდეს, რისთვისაც დარწმუნებული იყვეს, არა მცირე მადლობის ღირსი გახდება.

⁂ **იქიდანვე:** აგერ თვე ნახევარზე მეტი იქმნება, რაც ჩვენში წვიმა არ ყოფილა, და საშინელი გვალვისაგან ქვასავით გამხმარ მიწებს გულხელ დაკრეფილნი შეჰყურებენ საბრალო მიწის მუშები; ხვნათესვა შეჩერებულია; წელს მოსავლის იმედი არა აქვთ.

ა. ზუგდიდელი.

⁂ **შულავერი** (ბორჩალოს მაზრა) **ჭირნახული.** ყანებს აქ წლეულ მშვენიერი პირი უჩანს. ვაზიც კარგს მოსავალს გვიქადის, მაგრამ 20 მაისიდან, საუბედუროდ, მიულდიუმ თავი იჩინა. უფრო სამწუხარო ისაა, რომ მისის წამლობისა ცოტას თუ ვისმე ესმის. ვენახების სივრცე 1,500 დესიატინას აღემატება და მათს შორის 30 დესიატინა თუ არის ნაწამლი. დანარჩენების პატრონები ასე ამბობენ, ჯერ ვნახოთ, ვინც უწამლა როგორ იქმნება, და მერე უწამლებთო.

უხიდობა როგორც თვითონ შულავერში, ისე სოფლებში ძალიან გვაწუხებს, განსაკუთრებით წყალდიდობის დროს, სახლში ვზივართ და მეზობელთან ვერ მივსულვართ.

ერთის პრეტენზიის გამო.

ამას წინად ,,კვალმა“ დაბეჭდა „პატარა შენიშვნა“, ჩემდამი მიმართული, რომელსაც ბოლოში აწერია: მესხი ვ. გვარამაძე. როგორც გვითხრეს, ეს ხელი მომწერლისა არის, თურმე, შვილი პატივცემულის ვინმე მესხის მამა გვარამაძისა. ეს უმცროსი მესხი ამბობს, რომ ამ ოცის წლის წინად თქვენ (ესე იგი მე) ისესხეთ ზოგი სასულიერო ლექსები, მამა ჩემის კრებულიდგან, და ეს სესხი მადლობით გქონდათ მოხსენებული «დედა ენის» წინასიტყვაობაშიო. ამის შემდეგ ასახელებს ხუთს ლექსსა, ვითომ ჩემ მიერ ნასესხებსა, ამბობს, რომ იგინი უნდა ჩაითვალონ მამა-ჩემის საკუთრებად, მისგან უნდა აიღონ ნება, ვისაც სურთ, მათით ისარგებლოსო. ბოლოს უმატებს, რომ „დედა-ენის“ უკანასკნელს გამოცემებში სასულიერო ლექსები დამახინჯებულიაო, თითქო ჩვენ „კვალ-ჯეჯილის“ რედაქცია ვიყოთ, რომელსაც აწუხებს უკურნებელი სენი წერილების დამახინჯებისა, როგორც ეს ჩვენ აღვნიშნეთ ერთს ჩვენ წერილში.—ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ შენიშვნის დაწერაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია პატივცემულს მამა გვარამაძეს, არც მისი შვილია იმდენად ბრალი, რადგან შენი-

შენა არის უმეტეს ნაწილად თხუზულება ცნობილთა მეუღლეთა.

ჩვენ ამ შენიშვნის პასუხი ცოტადავაგვიანეთ იმის გამო, რომ საჭირო იყო მოგვეძებნა წინანდელი გამოცემანი „დედა-ენისა“, მოგვეჩხრიკა ყოველი კუთხე ჩვენის სახსოვრისა და იქ გვეპოვნა ნაშთნი ოც-და-ორის წლის ამბისა, აგრეთვე გვეკითხნა ზოგიერთა რამ ნიკოლოზ იაკობის ძეს ალექსეევ-მესხიევისათვის, რომელიც მაშინ ახალციხეში იყო მომრიგებელ-მოსამართლედ და რომელსაც ახლა ჩვენ მოველოდით თიანეთიდგან სააზნაურო კრებაზედ დასასწრებლად. ყველა ეს საბუთები ახლა ხელში გვაქვს და მკითხველს მოკლედ მოვახსენებთ ნამდვილს ამბავს.

1875 წელს მე უკვე დამზადებული მქონდა „დედა-ენა“ დასაბეჭდად. მთელი სახალხო ნაწარმოები, მასში მოქცეული: არაკები, ზღაპრები, ლექსები და სხვანი პირადად ჩვენი შეკრებილი იყო, გარდა ათის სახალხო ლექსისა, რომელიც მე ამომეწერია დიდ პატივცემულმა პეტრე იოსების ძე უმიკაშვილმა თავისი კრებულიდგან. ამ დროს ვიღამაც მაჩვენა პატარა რვეული სახალხო ლექსებისა, შეკრებილი მამა გარამაძისაგან ახალციხის მხარეში. ვინ იყო ეს მაჩვენებელი? აღარ მახსოვს. მე გუმანი მქონდა ბატონს ნიკ. მესხიევზედ; მაგრამ მან გუშინწინ მითხრა, რომ მე მაგ საქმეში არა ვრევივარო. შესაძლებელია, რომ რვეული მაჩვენა ანნა ბესარიონის ასულმა ღოღობერიძე-მუსხელაშვილისამ, რომელიც ყოველ საზოგადო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. აქ უადგილოდ არ ვრაცხ გიამბო მკითხველს ერთი შემთხვევა, რომელიც კარგად ახასიათებს ამ იშვიათის ქალის სამაგალითო თვისებასა და სხვა მხრივაც არის საგულისხმიერო.

სახალხო ლექსების გარდა, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა გადმოთარგმნა რუსული ენიდგან საუკეთესო საბავშვო ლექსებისა. ამის გამო გადავიკითხეთ ყოველი რუსული გამოცემა, ყმაწვილთათვის დანიშნული, პერიოდული, თუ ერთხნობითი, და შევადგინეთ სია გამოსადეგი რუსულის ლექსებისა, დასახელებით წიგნებისა და გვერდებისა, სადაც ეს ლექსები მოიპოვებოდნენ. 1874 წელს, ზაფხულის გატარება მომიხდა აბასთუმანში, სადაც იმყოფებოდა ანნა ბესარიონის ასული და მასთან ნინო ათანასეს ასული გალანდარაშვილისა, ახლა შარაშიძისა. მე მას გაჩვენე ეს სია და მან მითხრა: ჩვენის უფასო სკოლის ბიბლიოთეკაში ყველა აქ დასახელებული წიგნები არის, და მე გისმეს ამოგაწერინებ მათ რამდენიმე დღის განმავლობაშიო. რადგანაც საქმეზედ მოუხდა ჩასვლა ახალციხეში და იქიდგან ერთი კვირის შემდეგ ამოიტანა ორი მოზრდილი რვეული, რომელშიაც თავისი ხელით ჩაეწერა ყველა ის რუსული ლექსები, რომელნიც მოხსენებულნი იყვნენ ჩემ სიაში. მაგრამ საქმე გადამთარგმნელის შოვნა იყო. მთარგმნელად ამირჩია მანვე მამია გურიელი, რომელსაც აბასთუმნიდგანვე გაუგზავნა რვეულები და სთხოვა, რაც შეიძლება მალე გადათარგმნეო, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ უკანვე მოსვლოდა გადაუთარგმნელი ლექსები მამიასაგან: პოეტურს გუნებაზედ ვერ მოვედი და ამიტომ ვერც ერთი ლექსი ვერ გადავთარგმნეო. რვეულები მივიღე ტფილისში წერილთან, რომელსაც ანნა ბესარიონის ასული, სხვათა შორის, მწერდა: აკაკის მიმართეთ, იგი ყოველთვის პოეტის გუნებაზედ სდგასო. მივმართე, მაგრამ მთარგმნელის განში ვერ მოექცა ვერც ეს პოეტი მთელი ექვსის წლის განმავლობაში. სამაგიეროდ სწორედ იმ დროს შექმნა რამდენიმე ჩინებული საბავშვო ლექსი, და, მათ შორის, „ყმაწვილი და პეპელა“. გამოვართვი აკაკის რვეულები და ახლა მივმართე სხვა პოეტს—თავად რაფიელ ერისთავს. მივუტანე არა მარტო რვეულები, არამედ ყველა ის რუსული წიგნებიც, რომელნიც გამოვიდნენ ექვსის წლის განმავლობაში და სადაც მოიპოვებოდა გამოსადეგი ლექსები. თარგმნით ამანაც მაგდენი არაფერი გადათარგმნა, სულ სამი-ოთხი ლექსი გადმოიღო რუსულიდგან; მაგრამ სანაცვლოდ სწორედ ამ დროიდგან იწყო წერა და ბეჭდვა თავისებური ლექსებისა სახალხო და საბავშვო ტემებზედ, როგორც მაგალითად: თინიას მამითადი, სამშობლო ხევსურისა, გაზაფხული, ზამთარი, ბზობა, აღდგომა, ზაფხული, სთიბი, რთველი, სურათი ხალხის ცხოვრებიდგან და სხვანი, რომელნიც ჩვენს პოეზიაში მარგალიტებივით ბრწყინავენ და რომელთაც დაჩრდილეს ყველა წინედ დაწერილი ლექსები იმავე ავტორის მიერ.—ამ ამბავმა პირადად მე იმ დასკვნამდინ მომიყვანა, რომ ჩვენი პოეტები ერთი მხრივ ჰგვანან სახელოვან იტალიელს მხატვარს რაფაელს, რომელიც კოპიოების გადაღებაში უხეირო იყო და თავისებურის სურათების დახატვაში კი ბადალი არა ჰყავდა. ჩვენი პოეტებისათვის ეს თვისება დიდად სასიქადულოა; მაგრამ ჩემთვის კი უსიამოვნო გამოდგა,—რადგანაც იძულებული გავხდი თვითონ გადმომეთარგმნა საბავშვო ლექსები რუსულიდგან და მომექცია იგინი „დედა-ენაში“, ვიდრე აკაკიმ არ იკისრა მათი რედაქციის შეცვლა, რასაც „კვალის“ რედაქცია დამახინჯებას ეძახის სწორედ იმ მიზეზით, რა მიზეზითაც თვალის სიყვითლით შეპყრობილს ყველაფერი ყვითლად ეჩვენება.—

თუ ჩვენი პოეტების კარებებს ასე გარავუნებდი, ისე გემუდარებოდი და გაწუხებდი—გადათარგმნეთ, გადმოიღეთ ან თვითონ დაწერეთ საბავშვო ლექსები, რომლითაც ჩვენ მაშინ ისე ღარიბნი ვიყავით, ადვილი მისახვედრია, რა წყურვილით უნდა მიგვემართნა ჩვენ თვითონ ხალხისთვის, რომელიც საუკეთესო, უბადლო პოეტია, და რა წადილით უნდა შეგვეკრიბა მისი პოეტური ნაწარმოები. მთელის ექვსის თვის განმავლობაში ჩვენს სამშობლო სოფელში და მის ახლო ჩვენ ხარბად დავეწაფეთ ამ ბუნებრივის წყაროს პოეზიას და ჩავსწერეთ ჩვენს რვეულში ორმოცდა-ათამდე საბავშვო ლექსი, როგორც წინადაც გვქონდა ნახსენები, არაკები, ზღაპრები და სხვანი.—

დავუბრუნდეთ რვეულს მამა გარამაძისას. ვინ გაჩვენა იგი ჩვენ, სწორედ ვერ მოვიგონებია. კარგად გვახსოვს მხოლოდ ის, რომ თვითონ ამ სასულიერო პირს არ უჩვენებია ჩვენთვის პირადად. ჩვენ იგი პირველად ვნახეთ ამ სამის წლის წინედ წერა-კითხვის საზოგადოებაში, სადაც აკაკიმ გამაცნო იგი პირველად. ცხადად ჩამრჩენია გონებაში ისიც, რომ ამ რვეულში ვერც ვპოვეთ ვერც ერთი საბავშვო ლექსი, „დედა-ენისათვის“ გამოსადეგი, გარდა სამიოდე ორ-სტროქონიან ლექსისა, რომელიც ჩემს კრებულშიაც ერია. მიუხედავად ამისა მე წინასიტყვაობაში მოვიხსენე, რომ ზოგი ლექსი ამოვარჩიეთ ახალციხურის ლექსების კრებულიდგან, რომელნიც მოგროვილნი არიანთქო ერთი პატივცემულის ფრანგთა მღვდლისაგან, ბ-ნი ნ. მესხიევის თაოსნობით-თქო. ასე მოვიქეცით იმის გამო, რომ პატივცემულს მოძღვარს არ ეფიქრნა ჩვენზედ, ჩემი შეკრებილი ლექსებით ისარგებლა და წიგნში-კი არ მომიხსენიაო,—მეორედ, მე მინდოდა ამით გამომეცხადებინა ჩემი თანაგრძნობა და პატივის ცემა ფრანგთა მღვდლისათვის, რომელიც ხალხის სიტყვიერს ქმნილებათა სიყვარულში და დაცვაში ჩინებულს მაგალითს უჩვენებდა მართლ-მადიდებელს სამღვდელოებას, და მესამედ იმისათვის, რომ სხვებშიაც ამეძრა სურვილი ხალხური პოეზიის შეკრებისა.

შემდეგ წლებში „დედა ენიდგან“ გაქრა ექვსი სახალხო ლექსი ბ-ნი უმიკაშვილისა და დარჩა მხოლოდ ოთხი, ის სამიოდე პატარა ლექსიც, რომელიც მოიპოვებოდა მამა გარამაძის რვეულშიაც, სრულიად ამოვშალეთ და მათი ადგილი უმთავრესად დაიჭირეს ლექსებმა, რომელნიც შეკრებილია სურამის მხარეში ბ-ნი სამფსონ ღონღაძისაგან. ამის გამო წინასიტყვაობაში ვიხსენიებდი მხოლოდ პეტრე უმიკაშვილსა და სამფსონ ღონღაძეს, ხოლო მამა გარამაძის ხსენებისათვის აღარავითარი საფუძველი აღარა მქონდა და არც ვიხსენიებდი.

ამ ხუთს ლექსში, რომელიც დასახელებულია შენიშვნაში, როგორც ნასესხები გარამაძის რვეულიდგან, ყველა სხვა წყაროდგან მომდინარეობს. „დათვის სიზმარი“ ამოღებულია ბ-ნი პეტრე უმიკაშვილის კრებულიდგან და ეს მოხსენებულია თვით სარჩევში; „მოხუცის ნატვრა“ გაგონილი მაქვს გარიანელის გლეხის გიორგი კოკაურისაგან, რომელმაც აუარებელი ლექსი იცოდა და რომელსაც ეკუთვნის უმეტესი ნაწილი „დედა ენის“ საბავშვო ლექსებისა, „ურჩალი კაცი“ არ მოიპოვებოდა არც პირველს გამოცემაში, არც მეორეში, არც მესამეში და მხოლოდ შემდეგ გამოცემებში ჩნდება, რაც შეუძლებელი იქნებოდა, პირველის გამოცემის წინედ რომ იგი გვენახა ხსენებულს რვეულში; „პატარა მდინარე“, პირველ გამოცემაში დაბეჭდილი, გადმოღებულია ჩემ მიერ რუსულიდგან, „პამპული და ერკვლე“, ამოვიღე ბ-ნი ღონღაძის კრებულიდგან ათის წლის წინედ და არა ოცის წლის წინედ ახალციხურის კრებულიდგან.

დასასრულ, უნდა ვაღიაროთ, რომ თუ პატივცემული მამა გარამაძე სვინიდის ქვეშ იტყვის, რომ ამ ჟამად ,,დედა-ენაში'' მისი შეგროვილი ლექსებიც ურევია და დაგვისახელებს ამ ლექსებსა, ჩვენ უარზედ არ დავდგებით და მის საკუთრებად ვაღიარებთ მათ შემდეგ გამოცემებში, თუ იგინი არ აღმოჩნდებიან ან ბ-ნი უმიკაშვილის, ან ბ ნი ღონღაძის კრებულიდგან ამოღებულნი.—

იაკობ გოგებაშვილი.

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახებ.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში).

• იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში

ქუთაისში: ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფან ლაღიძესთან.

ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან და დოქტორ ვოლსკისთან

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან და იაკობ ფანცხავასთან

ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში“.

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.

ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

წიფაში: კირილე ხარაძესთან.

ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.

სენაკში: ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან და სამ. ყიფიანთან.

ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან

ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.

კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.

სიღნაღში: დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან

ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.

ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.

ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

მოლითში: პავლე გურცკალიასთან.

ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—6)

«კრებულის» რედაქტორი **აკაკი.**

„ალმოსავლეთის მაღაზია“
ძმათა მერკვილაძეთა
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემინარიის პირდაპირ.
ისყიდება ნამდვილი ჩინეთის
ჩესუნჩა და ფანზა
იაპონიის აბრეშუმეულობა, ქართული დარაიები,
შალეულობა და სხვა ნივთები.
მაღაზიას აქვს საუკეთესო სამკერვალო ჩვენებურ ტანისამოსისა.
(15—7)
[illegible]
[illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Іюня 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.